ს.ს.ი.პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

04 06 2009 № 59

(თბილისი)

/2008-09 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრის
სწავლის საფასურის გადახდის ვადების განსაზღვრის შესახებ/

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის 2008-09 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის ვადების განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტს, 2008-09 სასწავლო წლის სწავლის საფასურის პირველი სემესტრის დავალიანებისა და დავალიანების 10%-ს ოდენობით ჯარიმის გადახდის ვადა განესაზღვროს 2009 წლის 20 ივლისამდე, ამ ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტი გაირიცხოს უნივერსიტეტიდან.
2. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტს 2008-09 სასწავლო წლის სწავლის საფასურის მეორე სემესრტის დავალიანების გადახდის ვადა განესაზღვროს 2009 წლის 15 ივნისამდე. სტუდენტს, რომლსაც არ ექნება შესრულებული აღნიშნული ვალდებულება, დაერიცხება ჯარიმა 2009 წლის 15 ივნისიდან გადაუხდელი თანხის 10%ს ოდენობით. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტი გაირიცხოს უნივერსიტეტიდან მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე.
3. ის სტუდენტი, რომლსაც არ ექნება გადახდილი სწავლის საფასური ან/და ჯარიმა არ იქნება დაშვებული მიმდინარე სემესტრის საგამოცდო სესიებზე.
4. სტუდენტებისათვის ბრძანების გაცნობა დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს და სტუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობას.
5. ბრძანება განთავსდეს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე - ქ. თბილისი უზნაძის ქ. №52 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6.
7. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი,
პრფესორი — ა. ფრანგიშვილი

ვიზები:
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პრფესორი — ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი — ბ. მაისურაძე

სტუდენტური თვითმმართველობის
თავჯდომარე — თ. დუნდუა